შპს „ბორჯომი ცენტრალი“ ჯგუფის

2022 წლის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სკანირებულია CamScanner-ით

შინაარსი

2022 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 3

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4

1. ზოგადი ინფორმაცია 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა 5
4. შემოსავალი 6
5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 6
6. ძირითადი საშუალებები 7
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 7
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 8
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 8
10. გადასახადები 8
11. დაკავშირებული მხარეები 8
12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები 9
   (ა) შემოსავალი 9
   (ბ) სხვა ხარჯები 9
   (გ) ძირითადი საშუალებები 9
   (დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 9
   (ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 10
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 10

სკანირებულია CamScanner-ით

2022 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები

ლარი	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი		231659	230990
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(19340)	0
საერთო მოგება		**212319**	**230990**
სხვა შემოსავალი		9515	16772
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		(90503)	(88769)
არასაოპერაციო ხარჯი		(134313)	(61822)
სხვა შემოსულობები		0	0
ფინანსური ხარჯი		(170)	0
საოპერაციო მოგება/ზარალი		**(3152)**	**97171**
ფინანსური შემოსავალი		62497	46705
მიმდინარე პერიოდის შემოსავალი		**59345**	**143876**
მოგების გადასახადი		(13003)	0
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		**46342**	**143876**
შვილობილი კომპანიის მოგება/ზარალის წილი		**(29000)**	**0**
სულ წლის სრული შემოსავალი		**17342**	**0**
მშობელი საწარმოს მესაკუთრეების მთლიანი შემოსავალი		**46342**	**0**
არამაკონტროლებელი წილების მთლიანი შემოსავალი		**(29000)**	**0**
სულ წლის სრული შემოსავალი		17342	

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 20 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

BORJOMI CENTRALI 404925382

გენერალური დირექტორი
გიორგი ჯაფარიძე

მთავარი ბუღალტერი
ნინო შალუტაშვილი

მოგება ან ზარალისა და სხვა შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 8-10.

სკანირებულია CamScanner-ით

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	0	31.12.22	31.12.21	31.12.20
აქტივები				
მიწა		60000	0	0
ძირითადი საშუალებები		604799	291798	295500
არამატერიალური აქტივები		4663	1251	1473
გუდვილი		99559	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		*769021*	*293049*	*296973*
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		302391	13908	13197
ფული და ფულის ეკვივალენტები		235218	264999	253772
მარაგები		98733	0	0
სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		675500	681472	557022
სხვა მოკლევადიანი აქტივები (საგადასახადო ზედმეტობა)		18692	29938	30758
სულ მიმდინარე აქტივები		*1330534*	*990317*	*854749*
სულ აქტივები		*2099555*	*1283366*	*1151722*
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი		0	0	0
არამაკონტროლებელი წილი		(69693)	0	0
გაუნაწილებელი მოგება		1250394	1277736	1133860
სულ საკუთარი კაპიტალი		*1180701*	*1277736*	*1133860*
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		147940	5630	17862
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები		481800	0	0
სხვა ნასესხები თანხები		289114	0	0
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		0	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		*918854*	*5630*	*17862*
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		*2099555*	*1283366*	*1151722*

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 20 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

გენერალური დირექტორი
გიორგი ჯაფარიძე

მთავარი ბუღალტერი
ნინო შალუტაშვილი

სკანირებულია CamScanner-ით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 8-10.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბორჯომი ცენტრალი“ ჯგუფი რეგისტრირებული არის “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2012 წლის 11 იანვარს.
კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი ჭავჭავაძის გამზირი N27/29 ბ.15. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 404925382; მისი შვილობილი კომპანიაა შპს „მშენებელი 2004“, სადაც ის ფლობს 30% წილს. კონსოლიდაციის თარიღია 2022 წლის 15 დეკემბერი. შესადარის პერიოდში წარმოდგენილია მშობელი კომპანიის მონაცემები.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. მისი შვილობილი კომპანიის საქმიანობაა ცემენტის წარმოება.
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ბორჯომი ცენტრალი“ ჯგუფის 100% წილის მფლობელია ჯემალ გიგუაშვილი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
ამავდროულად გაკეთებულია ისეთი შეფასებები და დაშვებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. საანგრიცხვო შეფასებების ცვლილების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.
ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

სკანირებულია CamScanner-ით

4. შემოსავალი

კონსოლიდაცია

ლარი	2022 წ.	2021წ.
ელექტრო ენერგიის შემოსავალი	182431	204548
წყლის შემოსავალი	3625	2951
შემოსავალი ლასუფთავებიდან	18463	15762
შემოსავალი რეალიზაციიდან	1150	550
სხვა	25990	0
არასაოპერაციო შემოსავალი	0	7179
საპროცენტო შემოსავალი	9515	16772
სულ შემოსავალი	62497	46705
	303671	**294467**

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

კონსოლიდაცია

ლარი	2022 წ.	2021წ.
გაყიდვების თვითღირებულება	19340	0
შრომის ანაზღაურება	49313	61294
ბანკის %	447	135
საოჯარო ქირა	7825	3013
დაზღვევა	73	0
საპენსიო ფონდი	338	534
კომუნალური გადასახადები	24861	15852
ცვეთა და ამორტიზაცია	2291	560
ძირითადი საშუალებების გასვლა	0	3364
საგადასახადო ხარჯი	16932	3012
სხვა	1426	1005
არასაოპერაციო ხარჯი	134313	61822
საპროცენტო ხარჯი	170	0
სულ	**257329**	**150591**

სკანირებულია CamScanner-ით

შენიშვნა: 1) კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშში საპროცენტო შემოსავლიდან და საპროცენტო ხარჯიდან ამოღებულია შვილობილი საწარმოს მიერ მშობელ ორგანიზაციაზე გადახდილი სესხის პროცენტი 254 ლარი შესყიდული წილის პროპორციულად და 2) კონსოლიდირებულ ბალანსში აქტივებიდან და ვალდებულებებიდან ამოღებულია მშობელი საწარმოს მიერ შვილობილ ორგანიზაციაზე გაცემული სესხი 221564 ლარი.

6. ძირითადი საშუალებები

კონსოლიდაცია

ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	შვილობ. ცვეთის არამაკ. წილი	კონსოლ. ცვეთის ხარჯი	წმინდა ღირ. 2022 წლის 31 დეკემბერს
შენობა ნაგებობა	283877	145347	484	207	428533
მიწა	0	60000	0	0	60000
სატრანსპორტო საშუალებები	0	82742	253	109	82380
ინვენტარი	7921	6318	17	1609	12613
არამატერიალური აქტივი	1251	3661	0	250	4662
მანქანა-დანადგარები	0	81662	272	116	81274
სულ ძირითადი საშუალებები	**293049**	**379730**	**1026**	**2291**	**669462**

შენიშვნა: ძირითადი საშუალების ცხრილში წარმოდგენილია ცალ-ცალკე სვეტად: 1) კონსოლიდირებული ცვეთის ხარჯი, რომელიც შედგება მშობელი ორგანიზაციის წლიური ხარჯისა და შვილობილის შესყიდვის დღიდან წლის ბოლომდე ხარჯის 30%-ის ჯამისგან, რაც შეტანილია მოგება-ზარალის ანგარიშში, ხოლო 2) შვილობილი ორგანიზაციის ცვეთის დანარჩენი წილი წარმოდგენილია არამაკონტროლებელი წილის სვეტში, რაც შედის მოგება-ზარალის ანგარიშში არამაკონტროლებელი წილის თანხაში.

სვეტში ძირითადი საშუალების შემოსვლა - ნაჩვენებია მშობელი ორგანიზაციის მიერ 2022 წლის განმავლობაში შეძენილ ძირითადი საშუალებას დამატებული შვილობილი ორგანიზაციის ძირითადი საშუალების ოდენობა შესყიდვის თარიღისთვის.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კონსოლიდაცია

ლარი	*2022წ.*
სავაჭრო მოთხოვნები	302391
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	675500
სხვა მოკლევადიანი აქტივები (საგადასახადო ზედმეტობა)	18692
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**996583**

სკანირებულია CamScanner-ით

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კონსოლიდაცია

ლარი	2022წ
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	147940
სხვა ნასესხები თანხები	0
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები	481800
საგადასახადო ვალდებულებები	0
სხვა ნასესხები თანხები	289114
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**918854**

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კონსოლიდაცია

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე ირიცხებოდა 210606 ლარი, ხოლო სალაროში 24612 ლარი,სულ 235218 ლარი.

10. გადასახადები

კონსოლიდაცია

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს.

2016 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის ანგარიშსწორება ხდება ერთიან სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კონსოლიდირებული საგადასახადო ზედმეტობა შეადგენდა 18692 ლარს.

11. დაკავშირებული მხარეები

კონსოლიდაცია

(ა) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

ლარი	2022 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი	49313

სკანირებულია CamScanner-ით

12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

(ა) შემოსავალი

შპს ბორჯომი ცენტრალი ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება, მართვა და ცემენტის წარმოება.
ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით,

(ბ) სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

სკანირებულია CamScanner-ით

(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშნელოვან მოვლენებს.

გენერალური დირექტორი
გიორგი ჯაფარიძე

მთავარი ბუღალტერი
ნინო შალუტაშვილი

სკანირებულია CamScanner-ით